



# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
 უნივერსიტეტის გამომცემი  
**გამოდის 1957 წლიდან**  
 №1 (299) იანვარი, 2017 წელი

# გაზეთი

თბილისის  
 სახელმწიფო  
 სამედიცინო  
 უნივერსიტეტის  
 პირველი  
 საუნივერსიტეტო  
 კლინიკის  
 2017 წლის  
 მეკვლე



**პროფესორი დავით ქოჩიაშვილი:**  
 პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიური დეპარტამენტი ამჟამად 16 სანოლზეა გაშლილი. დღემდე გატარებულია 1000-მდე პაციენტი, გაკეთებულია 660-ზე მეტი ოპერაცია, საიდანაც უმეტესობა გეგმურია, ამბულატორიული მომსახურეობა კი 2510 პაციენტს ჩაუტარდა.

83 5



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ჩემი ბედნიერი პირველი

83 5

...სშირად ჯიბრში უნდა ჩაუდგე სიკვდილს და დაუღალავად და ჯიუტად ებრძოლო მას. ბოლო წლებში ჩემი საყვარელი დევიზი და სლოგანია ცნობილი ლათინური გამოთქმა – „memento mori“. მისი ღრმა ფილოსოფიური არსი რეალურად მეხმარება, უფრო მსუბუქად შევაფასო ცხოვრება, რომელიც ისედაც ხანმოკლეა. ვცდილობ, არ გავირთულო და სხვა-სა-ც არ გავურთულო ისედაც ძნელი ცხოვრება, ვიცხოვრო თვალთმაქცობისა და ფარისევლობის გარეშე, თუნდაც, პატარა სიყვარულით და ერთგულებით ჩემს ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად. სშირად სიკვდილის გახსენებით უდიდეს პატივს ვცემ სიცოცხლეს და ვურჩევ ყველას, ასევე, სშირად იმეოროს – „memento mori“ და ცხოვრება უფრო პოზიტიური და პროდუქტიული იქნება...

ამონარიდი მერაბ კილაძის დღიურებიდან


83 7

## სტუდენტური გვერდი

- თაჰისუფადი ირეაგისა და ზემოქმედაებითი პროექტების განხორციელებისთვის
- CITY GAME
- პირველ კურსელები მღვდლანების ფენიში
- წიგნი – პირველი მოთაგაშ
- საინტერესო შეხვედრა

83 4

ცნობილი ფრანგი მხატვარი და გრაფიკორი ჟაკ ფაგინ გოტია დ'აგოტი (1716-1785) თავისი შემოქმედებით მედიცინას ემსახურებოდა. მისი ილუსტრაციებით შეიქმნა ანატომიური ატლასი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო XVIII-XIX საუკუნეებში.



83 8

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები და თანამშრომლები „SOS ბავშვთა სოფელს“ ესტუმრნენ. ინიციატივა სახელწოდებით – „შემოგვიერთი, გავხადოთ მეტი ბავშვი ბედნიერი!“ – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ეგიდით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2016 წლის დეკემბერში დაიწყო.

83 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა სპორტულ ასპარეზობაში მნიშვნელოვანი წარმატებაები მოიპოვეს



83 2

### აღივლივობა მსოფლიო კონფერენცია



ნახლებას ბაზისური იმუნოლოგიის მოდულები (www.pathlms.com/waol/courses). სხდომას თავმჯდომარეობდა განათლების კომიტეტის თავმჯდომარე პაულ გრინბერგერი (აშშ).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა. პროგრამები შედგებოდა პლენარული სხდომების, სექციებისა და სიმპოზიუმებისგან.

კონფერენციის მსვლელობისას პროფესორი თინათინ ჩიქოვანი შეხვედრა ნეგევის (ისრაელი) ბენ-გურონის უნივერსიტეტის პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორ ელი მაგენს. ელი მაგენის ინიციატივით შედგა თინათინ ჩიქოვანის სამუშაო შეხვედრა ბარზილას სამედიცინო ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, დოქტორ ელიაზ მილერთან.

ბატონმა ელიაზმა მზადყოფნა გამოთქვა, ხელშეკრულება დაიდოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებსა და ბარზილას სამედიცინო ცენტრს შორის, რაც ხელს შეუწყობს თსუ-სა და ბენ-გურონის უნივერსიტეტებს შორის უკვე არსებული ურთიერთობის გაღრმავებას. ხელშეკრულების ფარგლებში, სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტებსა და ახალდაწყობულ სპეციალისტებს საშუალება მიეცემატ სპეციალიზაცია გაიარონ ამკელონში, ბარზილას სამედიცინო ცენტრში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი თინათინ ჩიქოვანი 2016 წლის 5-9 დეკემბერს მივიღებთ იმყოფებოდა იერუსალიმში (ისრაელი), სადაც მონაწილეობა მიიღო „ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის“ საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციაში.

პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა 6 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო „ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის“ განათლების კომიტეტის მუშაობაში. სხდომაზე განიხილეს სამი ძირითადი საკითხი: ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ეროვნული ასოციაციებისთვის კითხვარის შედგენა, 2017 წელს ალერგიის მსოფლიო კვირისთვის ვებინარის თემის შერჩევა (თემად შერჩა – ურტიკარია), ონლაინ განათლება: საჭიროებს თუ არა გა-

ვფლებების დაცვის შესახებ არანებაყოფლობით მკურნალობასა და მოთავსებასთან დაკავშირებით; თანამშრომლობის საკითხები; უახლესი ტექნოლოგიები; ფინანსური მოგების აკრძალვა; კვლევა ბავშვთა უფლებების საკითხებზე; ოვიდოს კონვენციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავი კონფერენციის საკითხები; კომიტეტის (DH – BIO) სამუშაო მეთოდები და შემდგომი საქმიანობა; ბიუროს წევრთა არჩევა; ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მომდევნო შეხვედრების თარიღები.

### პროფესორი საჯარო ბიოთექნოლოგიის კონფერენციაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი გივი ჯავახიშვილი იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ბიოთექნოლოგიის პლენარულ სხდომაზე, როგორც ამ კომიტეტის და მისი ბიუროს წევრი. ღონისძიება გაიმართა სტრასბურგში (საფრანგეთი), ევროპის საბჭოს სასახლეში.

კომიტეტის მე-10 შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: ევროპის საბჭოს ინსტრუმენტების რატიფიკაცია; სახალეები ბიოთექნოლოგიის სფეროში; დამატებითი ოქმი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ღირსებისა და უფუნდამენტური

უფლებების დაცვის შესახებ არანებაყოფლობით მკურნალობასა და მოთავსებასთან დაკავშირებით; თანამშრომლობის საკითხები; უახლესი ტექნოლოგიები; ფინანსური მოგების აკრძალვა; კვლევა ბავშვთა უფლებების საკითხებზე; ოვიდოს კონვენციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავი კონფერენციის საკითხები; კომიტეტის (DH – BIO) სამუშაო მეთოდები და შემდგომი საქმიანობა; ბიუროს წევრთა არჩევა; ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მომდევნო შეხვედრების თარიღები.

### ღივლივობა მსოფლიო კონფერენცია



დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების აქცია სამომავლოდ სხვა ბავშვთა სახლებს და შეჭირვებულ ოჯახებსაც მოიცავს.

SOS Children's Villages International წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც მსოფლიოს 133 ქვეყანაში 35-ზე მეტი ორგანიზაცია ეროვნული ასოციაციების სახით. ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ 1989 წლიდან ეწევა საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ორგანიზაციის მიზანია მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და მოზებელთა მზრუნველობაში კლებულ ბავშვთა უფლებების დაცვა, თემზე დაფუძნებული და ალტერნატიული მომსახურების საშუალებით, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის მიზნით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და კერძო სექტორთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები და თანამშრომლები „SOS ბავშვთა სოფელს“ ესტუმრნენ. ვიზიტის მიზანი წინასახალწლოდ პატარების მოწახლულება და მათი საჩუქრებით გახარება იყო. ბავშვთა სოფლის ბინადრებმა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისგან უამრავი საჩუქარი მიიღეს და მათთან ერთად რამდენიმე საათის განმავლობაში იმხიარულეს კიდევ.

ინიციატივა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დეკანის ამერიკული პროგრამის ეგიდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2016 წლის დეკემბერში დაიწყო. პროგრამის სტუდენტებმა საახალწლოდ მორთეს ნაძვის ხე, რომელთანაც საჩუქრების მწვანე, დიდი ყუთი განათავსეს. ოთხივე კურსის სტუდენტები, პროგრამის თანამშრომლებთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში საკუთარი სურვილითა და გემოვნებით შერჩეულ საჩუქრებს თავს ყუთში უყრიდნენ.



### კონფერენცია პრეზიდენტის თამაშიაზე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2017 წლის 18 იანვარს ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია ვერცხლისწყლის თემატიკაზე.

სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომელთაგანაც სტუდენტურ კონფერენციაზე გამოვლინდა 3 გამარჯვებული.

კონკურსის შედეგი ასეთია: I ადგილი — ნინო ჭანტურია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; II ადგილი — ანი ფუტყარაძე, თამარ მუმლაძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; III ადგილი — გიორგი ლომთათიძე, მარიამ საჯავა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ღონისძიებას დაესწრნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უნივერსიტეტებისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლები.

### მოიხილეთ საქართველო ახლა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქველმოქმედო პროექტის „წყლის სანიტარია და ჰიგიენა (WASH)“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჯავახიშვილის სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკის დირექტორი, აკადემიური დოქტორი მედიცინაში ლია ძიძიგური, ექიმ-სპეციალისტები: ფიქრია ლურსმანაშვილი, მარიამ ფხალაძე, ეკატერინე გირვალანია, იმყოფებოდნენ აჭარის რეგიონში.

პროფესორი ექიმების გუნდმა, პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონის სოფლების: წონიარისის, მახუნცეთის, ძეწანისას და ზვარეს საჯარო სკოლის 235 მოსწავლეს ჩაუტარა პროფილაქტიკურ-პრევენციული მართვლების გასინჯვები. გასინჯვების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა ნოზოლოგიის მქონე ბავშვები შემდგომი მკურნალობისა და დიაგნოზის ვერდიცირების მიზნით, სურვილის შემთხვევაში, მკურნალობას გააგრძელებენ თსუ-ი გივი ჯავახიშვილის სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკაში.

### კონფერენცია - „სოციოლოგიური კვლევები მედიცინაში“

2017 წლის 12 იანვარს, თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტში ჩატარდა ტრადიციული, პირველკურსელთა კონფერენცია — „სოციოლოგიური კვლევები მედიცინაში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველი სემესტრის, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივი პროგრამის სტუდენტებმა.



### საქართველო ჩემპიონატი ქალისთიერ საფიქში

18 დეკემბერს გორში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქალისთიერ საფიქში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის წევრმა, პავლე ლალაძემ, წარმატებით იასპარეზა სტუდენტურ და 23 წლამდე ასაკობრივ ნომინაციებში და დაიკავა პირველი ადგილი. პავლემ დაამყარა ორი საქართველოს რეკორდი ახალგაზრდებს შორის ამონევაში და სამჭიდში, ჯამში – 490 კგ. ამავე ჩემპიონატში თსუ-ის სტუდენტმა გიორგი მეტივიშვილმა, რომელიც ასპარეზობდა 19 წლამდე და სტუდენტურ ასაკობრივ ნომინაციაში, გაიმარჯვა და თან დაამყარა ყველა მოძრაობაში საქართველოს რეკორდები (19 წლამდე ჭაბუკებში), კერძოდ, ჩაჯდომაში – 200 კგ, ნოლ-ჭიმში – 165 კგ და ამონევაში – 240 კგ. თსუ-ის გუნდის ლიდერმა ჭაბუკა ჭილაძემ (ტრავმის მიღე-

ბის მიუხედავად) კარგად იასპარეზა. გაიმარჯვა სტუდენტურ და 23 წლამდე ასაკობრივ ჩემპიონატში, ჩაჯდომაში დაამყარა საქართველოს რეკორდი 280 კგ და ნოლ-ჭიმში კი მსოფლიო რეკორდი ახალგაზრდებს შორის.



### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქალისთიერი ნაკრები გუნდის წარმატება

ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მას-რესლინგში, რომლის შედეგებიც საამაყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის: 60 კგ წონითი კატეგორიაში პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა, გიგა კოპალეიშვილმა. 70 კგ წონით კატეგორიაში ასევე პირველი საპრიზო ადგილი ერგო პავლე ლალაძეშვილს (თბილისი, თსუ). მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენი სტუდენტის, გიორგი მეტივიშვილის, მიერ მოპოვებული მეორე საპრიზო ადგილი 105 კგ წონით კატეგორიაში. რაც შეეხება ასპარეზობას აბსოლუტურ კატეგორიაში, აქ პირველობა გიორგი მეტივიშვილს ერგო.

ვულოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს ამ წარმატებას. მათგან არაერთ ახალ გამარჯვებას მოველით.





# თავისუფალი ირეაზისა და შავოქაქაბიითი პროექტების განხორციელებისთვის



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა სტუდენტთა დამოუკიდებელი გაერთიანებამ. არჩევნები ჩატარდა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო). მაჟორიტარები ყველა ფაკულტეტის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც მონაწილეობდნენ თსუ-ის სტუდენტურ აქტივობებში. უნივერსიტეტი ყველა მათგანისთვის მეორე სახლს წარმოადგენს, ხოლო გარემო, რომელსაც

თვითმმართველობა ქმნის, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის იდეალური ნაზავია. გზა, რომელიც მათ ერთად გაიარეს, საინტერესო და ინოვაციური იყო. არჩევნების შემდეგ პარტიამ ჩაატარა გენერალური ასამბლეა, სადაც გუნდმა ერთხმად აირჩია თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი მიქაძე. მისი თქმით, სტუდენტთა დამოუკიდებელი გაერთიანების მიზანია სტუდენტებისთვის აქტიური, საინტერესო, ინფორმაციული და სახალისო გარემოს შექმნა, რომელიც მიმართული იქნება თავისუფალი იდეების და შემოქმედებითი პროექტების განხორციელებისკენ. სტუდენტთა დამოუკიდებელი გაერთიანება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სემინარებისა და კონფერენციების გამართვას, როგორც საუნივერსიტეტო გარემოში, ისე გავლენით პროგრამებით, ასევე, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებას და სოციალური პროექტების ხელშეწყობას. ამ აქტივობებში მონაწილეობის მიზნად ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია, რადგან თვითმმართველობა თავისუფალი ორგანიზაციაა, რომლის კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა. თსუ-ის თვითმმართველობა, ისევე, როგორც თავად უნივერსიტეტი, დიდ პატივს სცემს ტრადიციებს და ამ ტრადიციებით მომავლისკენ მიდის სტუდენტებთან ერთად.

**გიორგი მიქაძე, თვითმმართველობის პრეზიდენტი**

## City Game



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტი სტუდენტებს მუდმივად სთავაზობს ახალ და საინტერესო ღონისძიებებს, რომელთა დაგეგმვასა და ორგანიზებაში მათი აქტივობა და მონაწილეობა ძალიან მაღალია.

დეკემბრის მინურულს, თვითმმართველობის ორგანიზებით, სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა ყველასთვის კარგად ნაცნობი „City Game“. მონაწილეობა მიიღო 20-მანევილმა, რომლებიც მონაწილეობით ცდილობდნენ მინიმუმუმების გამოკვლასა და გამარჯვებას. თითოეულ გუნდს საკუთარი მენტორი ჰყავდა. გაიმარჯვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტურმა ნევილმა — ლევან დვალაძემ და ლიკა დარციმელიამ, რომელთაც გადაეცათ სიმბოლური პრიზი - ორი თასი.

„City Game“ ერთ-ერთი ბრიტანული სატელევიზიო შოუს — „Treasure Hunt“-ის ანალოგია, რომელიც აქტიურობით იყო 1950-1970წლებში. დღესდღეობით ბრიტანულ სკოლებში ეს თამაში სპორტის განუყოფელ ნაწილად რჩება.

„City Game“-ის მიზანი მოზარდებში ცხოვრების აქტიური და ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სტუდენტების დაახლოება, სტრესულ სიტუაციაში სწრაფად აზროვნებისა და ინტელექტუალური უნარების გამოვლენა, მეგობრული გარემოსა და ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნაა.

თათია კაკულია, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი

## საინტერესო შეხვედრა



2016 წლის 27 დეკემბერს, კლუბ „TRIUMPH“-ში ჩატარდა ტრადიციული საახალწლო სტუდენტური წვეულება თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით. ამ ღონისძიებას ბევრი სტუდენტი ელოდა, რადგან

დეკემბრის თვეში ყოველწლიურად ტარდება საახალწლო წვეულებები, ტრადიცია არც წელს დაირღვა. საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ რეზი ბაზიერი და MIND PROCESS. აღსანიშნავია, რომ საღამოს საკმაოდ ბევრი სტუდენტი დაესწრო, რადგან ყველას სურდა თავიანთ მეგობრებთან ერთად 2016 ერთ-ერთი ბოლო საღამო გაეტარებინა. მათი თქმით, ეს წვეულება რთული სემესტრის სასიამოვნო დასასრული იყო. სტუდენტების განწყობაზე მხიარული



სანტაჯ ზრუნავდა, რომელიც მათთან ერთად ცეკვავდა. 2016 წელს მრავალი საინტერესო ღონისძიება თუ წვეულება გაიმართა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და, ვიმედოვნებთ, რომ 2017 წელსაც გაგვანებიერებენ სასიამოვნო და შემოქმედებითი ღონისძიებებით.

**გიორგი მიქაძე, თვითმმართველობის პრეზიდენტი**

# ნიგნი — ჰიპველი მოთამაშე...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ერთი ჩვეულებრივი დღე არჩვეულებრივად იქცა. საინტერესო სტუმარი გახლდათ ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, ლექტორი, ტელენამყვანი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე, რომელიც აქტიურადაა ჩართული არაერთ მნიშვნელოვან პროექტში, მათ შორის, ახალგაზრდობასთანაც, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იგი საგანმანათლებლო მოძრაობა — „ეკვილიბრიუმის“ დამფუძნებელია.

ლექცია სტუდენტებისთვის ცისფერ დარბაზში ჩატარდა. გიორგი კეკელიძემ შეკრებილთ გააცნო საკუთარი თავი და თემა, რაზეც ისაუბრებდა. საუბარი შეეხო მხატვრული ლიტერატურის როლს ახალგაზრდა თაობის განვითარებაში. მან აღნიშნა: — „მხატვრული ლიტერატურა არის უნიკალური შანსი, რომ შენ ძალიან ცოტა დროში მოახერხო და იცხოვრო ბევრი ადამიანის ცხოვრებით“. მისი აზრით, ახალგაზრდა ვერ ჩამოყალიბდება კონკურენტუნარიანი მოქალაქედ თემატური ლიტერატურის გარეშე. ასევე, ვრცლად ისაუბრა ნიგნის, როგორც ინსტრუმენტის, როლზე მომავალი თაობის ჩამოყალიბებასა და თვალსაზრისის გაფართოებაში. გიორგი კეკელიძემ ისიც აღნიშნა, რომ მთავარი გამოწვევა დღეს ახალგაზრდების ნიგნით დაინტერესებაა, სწორედ ამიტომ, ლექციის ბოლოს გამოვიდა ინიციატივით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნას „ნიგნის ბუდე“.

„ნიგნის ბუდე“ (Little Free Library) პირველად ბრიტანეთში გაჩნდა, 2009 წელს. მისი მიზანი იყო, ხელი შეეხყო ნიგნიერების დონის ამაღლებას. ამას კი მიაღწევდნენ ნიგნებისა და მთავრული ლიტერატურის გაცვლით. მთავარი მიზანი ამ იდეისა კი ერთია, ჩამოყალიბოს ისეთი საზოგადოება, რომელიც მდიდარი იქნება კონკურენტუნარიანი მოქალაქეებით.

გიორგი კეკელიძემ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს სამხსოვროდ ნიგნი გადასცა „გურული დღიურები“, რომელიც ავტორის მოგონებების, შეგრძნებებისა და გურულების მიერ მოთხრობილი ამბებისგან შედგება. როგორც ცნობილია, ავტორმა გურიაში



4 თვე იმოგზაურა და თავად ინერდა უძველეს ამბებს. გიორგი კეკელიძე ნიგნს ახასიათებს, როგორც სინთეზს საკუთარი მოგონებებისა და ამბებისა, რომელიც გაჯერებულია ფოლკლორული ელემენტებით.

ლექცია დასრულდა, ახალგაზრდებმა კი ნიგნის ის პატარა სხივი, რომელიც მათ თვალსაწიერს უფრო მრავალფეროვანს გახდის. ამის შესახებ შთაბეჭდილება გაგიზიარა ლექციის ორგანიზატორმა, მარიამ თევზაძემ: — „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ წამოწყებული პროექტი — „ეკვილიბრიუმი“ — ერთგვარ საზოგადოებრივ მოძრაობად იქცა. პროექტის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით „ნიგნის ბუდეების“ — პატარა ბიბლიოთეკების გახსნა, რაც ემსახურება საზოგადოების ნიგნიერების დონის ამაღლებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ხორციელდება მალაქითანა და ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტიც უერთდება ამ პროექტს. ბატონმა გიორგი კეკელიძემ დაანონსა, რომ სულ მალე „ნიგნის ბუდე“ სამედიცინო უნივერსიტეტშიც გაჩენება“. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში მალე გამოჩნდება „ნიგნის პატარა ბუდე“...

**ნიგნის ბუდე**, ფარმაცის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი

## პირველხარისხიანი მოღვაწის განიხილვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იანვარი გამოცდების თვეა, პირველკურსელთათვის კი — შეტად მნიშვნელოვანი პერიოდი. პირველი სასწავლო სემესტრის დასასრული თითოეული მათგანის მოვალეობა გამოცდების წარმატებით და სასურველი შედეგით დასრულება, რისთვისაც შესაბამისი მომზადება, მაღალი აკადემიური მოსწრება და აქტივობაა საჭირო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რეიტინგით ერთ-ერთი პირველია ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს შორის, რასაც მაღალკვალიფიცირებული კოლექტივის გულისხმობს და დაუღალავი შრომა განაპირობებს. გამოცდების მსვლელობისას დისციპლინა მაქსიმალურად დაცულია, ყველა პირობა შექმნილია, რათა სტუდენტმა შეძლოს სირთულეების დაძლევა.

გავესაუბრეთ ფარმაცის ფაკულტეტის პირველსემესტრელებს — შოთა ბერიძესა და ნათია ოინას, რომელთაც რამდენიმე კითხვა დაეფუძნა:

— როგორც ვიცით, იანვარი თსუ-ში გამოცდების თვეა — პირველი სემესტრის პირველი თვეა; რა განწყობა გაქვთ?

**შ. ბერიძე** — მშვენიერი; ცოტას ვნერვიულობ, თუმცა, ყველაფერს ოპტიმისტურად ვუყურებ.

**ნ. ოინა** — მეშინია და ვნერვიულობ.

— როგორია შენი აზრი გამოცდაზე გამოყენებული ტესტების სირთულის შესახებ?

**შ. ბერიძე** — თუ იმეცადინებ, რთული არაფერია.

**ნ. ოინა** — არ მგონია, ძალიან რთული ტესტები იყოს, მით უმეტეს, მათთვის, ვინც კარგად სწავლობდა.

— შეცვლიდი რამეს გამოცდების ფორმატში?

**შ. ბერიძე** — კი, სხვა საგნებშიც შემოვიღებდი ისეთივე ტესტებს, როგორც ქიმიკაში, ყველამ რომ შეძლოს სწავლა.

**ნ. ოინა** — არა, იყოს, როგორცაა. — საკმაოდ მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ყველა დეპარტამენტი გამოცდის მსვლელობისას საკმაოდ ლამობიერია სტუდენტების მიმართ. თქვენ რას იტყობით?

**შ. ბერიძე** — ვერჯერობით მხოლოდ ქიმიის გამოცდა მქონდა, შესვლისთანავე გვამშვიდებდნენ და რომ არ ვნერვიულობდი, უფრო გამომარტყავდა წერა.

**ნ. ოინა** — ქიმიის ფინალური მქონდა და საკმაოდ კარგი სიტუაცია იყო — ლექტორები გამახსენებდნენ და გვეუბნებოდნენ, ის საკითხები იქნებოდა, რაც სემინარებზე გავიარეთ.

— თსუ ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი ქვეყნის მასშტაბით სწავლების ხარისხითა და რეიტინგით. რას ურჩევდით და უსურვებდით მომავალ სტუდენტებს?

**შ. ბერიძე** — ვურჩევდი, თავიდანვე მოინდომონ, არ იფიქრონ, რომ რომელიმე დემესტრი მნიშვნელოვანი არაა. წარმატებას და მეტ მონდომებას უსურვებდი ყველა მათგანს.

**ნ. ოინა** — ყველას, ვისაც კი გადაწყვეტილი აქვს აქ ჩაბარება, ვურჩევ, გადაწყვეტილება არ შეცვალოს და გახდეს მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის სტუდენტი.

— თქვენი აზრით, რამდენად რთულია აქ მოხვედრა და სწავლის პროცესში სირთულეების გადალახვა სასურველი შედეგის მისაღწევად?

**შ. ბერიძე** — სასურველი შედეგების მისაღწევად ვურჩევდი, ბევრი იმეცადინონ.

**ნ. ოინა** — არც აქ მოხვედრაა ადვილი და არც ბარიერის გადალახვა, თითოეულმა აბიტურიენტმა და სტუდენტმა მაქსიმალურად უნდა მოინდომოს.

მომზადდა **ბულიკო მურაჩაშვილმა**, ფარმაცის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტმა

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ზივზივამ

# პროფესია, როგორც თავდადება ითხოვს...

საუკეთესო და გამორჩეული გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტში, გამორჩეული ცოდნით, ადამიანური ღირსებებით... ასეთივედ დარჩა, თუმცა, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა მის საექიმო კარიერაში — დაიხვეწა და თვალნათლივ ჩამოყალიბდა, როგორც ღრმადგანსწავლული პროფესიონალი, უროლოგიის დარგის შესანიშნავი სპეციალისტი...

წარსულში კი დარჩა ალბათ არანაკლებ რთული ყოველდღიური — უცხოეთის კლინიკებში გატარებული პერიოდი, სიახლეების ძიება-ათვისებისთვის საჭირო ხანა — უცილობელი ეტაპი ექი მის პროფესიული წინსვლისთვის...

პროფესორი დავით ქოჩიაშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობს; ავადმყოფებისთვის იგი თბილი და საყვარელი დათო ექიმია, კოლეგებისთვის კი — საიმედო თანამდგომი და შეუვალი ავტორიტეტი. მისი დამსახურებაა წლების განმავლობაში წარმატებით შესრულებული ათასობით ურთულესი ოპერაცია თუ მანიპულაცია, უნატიფეს ტექნიკას, ღრმა ცოდნას და გამოცდილებას რომ მოითხოვს ქირურგისგან... მისი პროფესია თავდადებას ითხოვს და ისიც დიდი თავდადებათი ემსახურება არჩეულ საქმეს.

მისთვის ცხოვრების წესად ქცეული პასუხისმგებლობა, უმაღლეს რანგში აყვანილ პროფესიონალიზმთან და ადამიანურ ღირებულებებთან შეხამებული, ერთიანობის დიდ განცდას ბადებს. ეს ყველაფერი ბატონი დავითის ცხოვრების კრედიტია, თვალნათელი და მისაღები განურჩევლად ყველასთვის, კოლეგისა თუ პაციენტისთვის, უბრალოდ, — ნებისმიერისთვის.

აუღელვებლად საუბრობს, ისე, რომ ინტერესი გაძლავს — გინდა, ბევრი ჰკითხო და შეიტყო მისგან...

1999 წლიდან თსუ-ის უროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, 2002 წლიდან — თბილისის მთავარი უროლოგი და უროლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე; არის უცხოურ და ად-



გილობრივ სამეცნიერო ყურნალებში გამოქვეყნებული 85 ნაშრომის და საერთაშორისო კვლევის ავტორი, არაერთი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე და დელეგატი შვედეთსა თუ ესპანეთში, საფრანგეთსა თუ იტალიაში, გერმანიაში და ინგლისში, ავსტრიაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში; ასევე, რამდენიმე საინტერესაციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელია, ექსპერტი თუ ოპონენტი, სამეცნიერო გრანტების კოორდინატორი. სამედიცინო სფეროში დიდი ღვაწლისთვის დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

სულ რამდენიმე კითხვით მივმართეთ, არ დაგვზარდა, მიუხედავად დაძაბული და რთული სამუშაო დღისა, დრო საუნივერსიტეტო გაზეთისთვისაც გამოძებნა, რომელთანაც სტუდენტობიდან ჭეშმარიტად თბილი და უშუალო ურთიერთობა გააჩნია.

— როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის დღეს პირველი ოპერაციის გაკეთება თქვენ მოგიხდა...

— სწორედ წინა დღეს მეგობარმა და ერთ-ერთი კლინიკის მფლობელმა დამირეკა და ამიხსნა, რომ მის 20 წლის ვაჟს გადაუდებელი უროლოგიური დახმარება ესაჭიროებოდა. შევთავაზე, სასწრაფოდ საუნივერსიტეტო კლინიკაში მოყვანა, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა, ბოლოს კი დამთანხმდა, — სხვას ვერ ვეხდობო, მართლაც, სასწრაფოდ საოპერაციო აღმოჩნდა...

...კარგად მახსოვს, კლინიკის გახსნამდე რამდენიმე თვით ადრე, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მიხმო და მკითხა, რა აზრის ვიყავი საუნივერსიტეტო კლინიკაში უროლოგიური მიმართულების არსებობის აუცილებლობის შესახებ; მას, ასევე, აინტერესებდა ჩემი პოზიცია — გადავიდოდი იქ თუ ჩემს კლინიკაში დაერჩებოდი სამუშაოდ. ჩემი პასუხი ცალსახა იყო: — საუნივერსიტეტო კლინიკა უროლოგიური მიმართულების გარეშე წარმოუდგენელია და ეს საკითხი არ შეიძლება მხოლოდ ჩემს კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული-მეთქი. მე მას პირობა მივეცი, რომ, როგორც, რექტორს და, როგორც, დიდი ხნის მეგობარს, არ ვუღალატებდი და მხარში ამოვუდგებოდი. მიმანია, რომ პირობა შევასრულე.

— რას იტყვით სადღესოდ თქვენს დეპარტამენტში არსებული მდგომარეობის შესახებ?

— პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიური დეპარტამენტი ამჟამად 16 სანოლზეა გაშლილი. დღემდე გატარებულია 1000-მდე პაციენტი, გაკეთებულია 660-ზე მეტი ოპერაცია, საიდანაც უმეტესობა გეგმურია, ამბულატორიული მომსახურება კი 2510 პაციენტს ჩაუტარდა.

დეპარტამენტი წარმოდგენილია უნივერსიტეტის ოთხი თანამშრომლით (დ. ქოჩიაშვილი, ა. ხუსკივაძე, ვ. პაპავა, გ. ქოჩიაშვილი) და რეზიდენტებით (უმცროსი ექიმები), რო-

მელთაგან, წარმატებით ჩატარებული გამოცდების შემდეგ, ორი უკვე ლიცენზირებული უროლოგია. არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატო ჩემი კოლეგების — ა. ხუსკივაძის და ვ. პაპავას მიმართ, რომლებიც მხარში ამომიდგნენ და ლომის წილი იტვირთეს უროლოგიური დეპარტამენტის ნორმალურად ასამუშავებლად.

— სიახლეები სამედიცინო სფეროში ყოველთვის არაერთ მტკივნეულ და რადიკალურ გადაწყვეტილებასთანაა დაკავშირებული.

— მოგეხსენებათ, წინა წლებში ჯანდაცვის სფეროში გატარებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ მეტნაკლებად სამედიცინო სფეროში წარმოდგენილ ცნობად და პოპულარულ ექიმებს „იძულების წესით“ სხვის, ან თავისივე კერძო კლინიკაში მიუჩინა ადგილი, სადაც ისინი წლების მანძილზე დამკვიდრდნენ კიდეც, გადაიტანეს კათედრები და, ადამიანური და პროფესიული გარდა, ფინანსური ვალდებულებებიც აიღეს საკუთარ თავზე. ბევრი მათგანისთვის ადვილი არ იყო (ისევე, როგორც ჩემთვის), არჩევანი გაეკეთებინა — დარჩენილიყო მშობლიურ უნივერსიტეტში და გადასულიყო საუნივერსიტეტო კლინიკაში თუ კერძო კლინიკაში, რომელიც არანაკლებ მშობლიური იყო მისთვის და იმ გაურკვეველ და მძიმე წლებში, — შეიძლება ერთადერთი გამოსავალიც საკუთარი თავის, ოჯახის და პროფესიის გადასარჩენად, გაეგრძელებინა საქმიანობა. დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელია თქმა, რამდენად ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. მე სუბიექტური ვიქნები და არბიტრად არ გამოვდგები, თუმცა, ფაქტია, რომ ბევრი პროფესიონალი მედიკოსი წავიდა მაშინ უნივერსიტეტიდან, რაც ძალიან დასაწანია.

— საუნივერსიტეტო კლინიკაში ამჟამად არსებული უნიკალური სამედიცინო აპარატურა თუ დანადგარი, ალბათ კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა პათოლოგიის და სირთულის უროლოგიური ოპერაციის ჩასატარებლად.

— მართლაც, დეპარტამენტში მსოფლი-

ოში აპრობირებული ნებისმიერი ხასიათის და სირთულის უროლოგიური ოპერაცია კეთდება, დანერგული — მარტივი მანიპულაციით, დამატარებული — მეოთხე ღონის შარდის ბუშტის ხელოვნური ნაწლავის რეზერვუარით. დეპარტამენტი აღჭურვილია უახლესი აპარატურით: ტრანსსერეთრული რეზექტისკოპით, ლაპაროსკოპული, ასევე, ლაზერული ლითოტროფის აპარატურით; გაკეთდა



ესაუბრა დარეჯან კომლაკი

## ახალგაზრდა ექიმის თვლით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა 2015 წელს გაიხსნა, იგი მას შემდეგ სტაბილურად ვითარდება და დღითიდღე ცნობადი ხდება თბილისისა და არა მარტო დედაქალაქის მასშტაბით. გათვლილია 150 სანოლზე. შენობა ახლადგარემონტებულია, სუფთა და მოსახერხებელი; გაყოფილია ორ ნაწილად — ერთ მხარეს განთავსებულია სტაციონარი, მეორე ნაწილში კი სასწავლო ოთახებია, რაც ქმნის შესანიშნავ პლატფორმას საუნივერსიტეტო კლინიკისთვის.

კლინიკაში დასაქმებულია 500-მდე თანამშრომელი, რომლებიც ერთიან დიდ ოჯახს წარმოადგენენ. დეპარტამენტებს ხელმძღვანელობენ თსუ-ის პროფესორები, ამიტომ აქ მაღალი აკადემიური დონეა მკურნალობისა თუ სწავლების თვალსაზრისით; მდიდარ პრაქტი-

კულ გამოცდილებას ღებულობენ სტუდენტებიც, ზაფხულობით კი, სამედიცინო უნივერსიტეტის განცვლით პროგრამების საშუალებით, უამრავი ახალგაზრდა ჩამოდის უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. ერთი სიტყვით, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში საქმეს პროფესიონალურად ასრულებენ როგორც დიდი გამოცდილებისა და პრაქტიკის მქონე კათედრების ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, ასევე, ახალგაზრდა თაობა.

კლინიკა მრავალპროფილიანია. ფუნქციონირებს 20-მდე სხვადასხვა დარგის სამსახური, რაც ძალიან კომფორტულია, როგორც პაციენტისთვის, ასევე, ექიმებისთვისაც. თითქმის ყველა განყოფილება სადღეღამისო დღეს ფუნქციონირებს. პაციენტების სამსახურშია სრულფასოვანი რვა საოპერაციო ბლოკი, რომელთაგანაც ერთი მიმღებ

განყოფილებაშია განთავსებული. აქვეა საბინო მცირე საოპერაციო, სადაც ჭრილობების პირველადი დამუშავება ხდება. საოპერაციოების ამგვარი რაოდენობა კომფორტულს და მოსახერხებელს ხდის ქირურგიული დარგის სამსახურს.

რალა თქმა უნდა, ჩემთვის ყველაზე გამორჩეული, წარმატებული და პროდუქტიული უროლოგიური სამსახურია, სადაც გახსნის დღიდან ვმუშაობ, ჯერ როგორც უმცროსი ექიმი, რეზიდენტი, ამჟამად კი — სერტიფიცირებული ექიმი უროლოგიის სტატუსით. აქ კარგად იგრძნობა, რომ მედიცინა, განსაკუთრებით ქირურგიული დარგები, გუნდური მუშაობის პრინციპზეა აგებული და ყველა რთული შემთხვევა დეტალურად განიხილება არა მარტო განყოფილების ექიმების მიერ, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, იკრიბება კონსილი-

რამდენიმე სიმულტანური ოპერაცია ქირურგებთან და გინეკოლოგებთან ერთად; უახლესი მოდელის ურეთოსკოპისა და პერკუტანული პიელურეთოსკოპის საშუალებით შესაძლებელი გახდა კლინიკაში დანერგილიყო მაღალი ტექნოლოგიები და, რაც ყველაზე სასიამოვნო და საამაყოა, აღნიშნულ ტექნიკას აქტიურადაა დაუფლებული ახალგაზრდა თაობა. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის სრულ აღჭურვაში დიდი როლი მიუძღვით სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს, ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურს. დაუნახაობა და უმადურობა იქნება, თქვენი გაზეთის საშუალებით მათ მადლობა არ ვუთხრათ ამის გამო.

— რის გაკეთებას მიიჩნევდით აუცილებლად დეპარტამენტისა და, ზოგადად, კლინიკის საერთაშორისო სტანდარტებთან დასახლოებლად და კიდევ უფრო მეტად სრულყოფილი მუშაობისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად?

— მიმანია, რომ კლინიკაში უნდა გაიხსნას დიალიზის განყოფილება, ასევე, აუცილებელია აქტიურად ვიმუშაოთ ტრანსპლანტაციის (ღვიძლის და თირკმლის) მიმართულებით.

იმედს გამოვთქვამ, რომ ძალიან მალე სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა გახდება ერთ-ერთი მონიშნავი და კონკურენტუნარიანი დაწესებულება რესპუბლიკაში. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის დიდი პოტენციალი, რაც დღეს კლინიკას გააჩნია; ერთადერთი, რაც აუცილებელია, ჩვენც უნდა გვტკიოდეს მისი სატკივარი, ასევე, მიმანია, რომ სათანადოდ უნდა ამაღლდეს კომუნიკაცია კლინიკის თანამშრომლებს შორის, ერთობლივად ძალიან ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შესაძლებელი.

ესაუბრა დარეჯან კომლაკი

ში კლინიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის და კლინიკის ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ იშურებს თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის დასანერგად. საშუალება გვაქვს, პაციენტებს შევთავაზოთ დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი. ერთობლივად განვიხილავთ და ვირჩევთ მკურნალობის ტაქტიკას და მეთოდებს.

...ყოველ დღითი სამსახურისკენ მიმავალს, გაქვს განწყობა, მთელი სულით და გულით ემსახურო საყვარელ საქმეს და სიკეთე მოუტანო ადამიანებს, რომლებიც შენგან დახმარებას და თანადგომას ელოდნენ...

**ვალერი კვანავილიძე,**  
თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიის დეპარტამენტის ექიმი უროლოგი

# მერაბ ჩიჯავაძე



## წაიღო მათას

ჩვენო ძვირფასო და უსაყვარლესო მამიკო! ძნელია სიტყვებით გამოხატო ის გაუნებელი ტკივილი, რომელიც ამ ქვეყნიდან შენმა მოულოდნელმა ნასვლამ დაგვიტოვა.

მუდამ საოცრად თბილი, ხალისიანი, მოსიყვარულე და უსაზღვრო იუმორის მქონე ადამიანი იყავი. გამოირჩეოდი დაუღალავი შრომისმოყვარეობითა და შემართებით. ჭეშმარიტ ქართულ, ტრადიციულ ოჯახში დაბადებული, რა თქმა უნდა, სხვანაირი ვერც კი იქნებოდი. ჩვენც ასევე, ამ ოჯახურ ტრადიციებს, მუყაითობასა და პასუხისმგებლობას მიგვაჩვიე ბავშვობიდან.

საქმეში ყოველთვის სიმტკიცესა და შეუპოვრობას იჩენდი, არ უშინდებოდი არაფერს, არ არსებობდა შენთვის სირთულე და დაბრკოლება. ამაში შენი ოპტიმისტური და ძლიერი სულისკვეთება გეხმარებოდა.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ეს ასე არ არის. დრომ მხოლოდ თავზარდაცემი ელდა გააქრო, თორემ ტკივილი ისეთივე ღრმა და მოუშუშებელი დაგვრჩა, როგორც იმ საშინელ დღეებში გვექონდა!

ძალიან გვიჭირს და ყოველთვის გაგვიჭირდება უშენოდ ცხოვრება. უზომოდ გვენატრები და ახლაც ჩაგვესმის შენი მშვიდი, დარბაისლური ხმა და ისეთი შეგრძნება გვეუფლება, რომ ეს-ესაა გაილება კარი და შენს მშვენიერ, მუდამ მომღიმარ სახეს კიდევ ერთხელ შევხვდებით და კიდევ ერთხელ შენებურად გაგვეხუბრები.

გული გვწყდება, რომ სიცოცხლეში უფრო ხშირად ვერ გეფერებოდით, მაგრამ თავს მაინც იმით ვიმშვიდებთ, რომ არ შეიძლება ჩვენი დიდი სიყვარული და სიბოროტე შენს მგრძობიარე გულს არ ეგრძნო, არ გაეთხოვო.

ჩვენო ძვირფასო, ყველაფერი, რაც შენთანაა დაკავშირებული არ იქცევა მხოლოდ მოგონებად. ალბათ, ესაა სწორედ ადამიანის უკვდავება. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს მშვენიერ სულს და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა და ნაკითხულმა ლოცვებმა გაგინათოს მარადიული სასუფევლისაკენ მიმავალი გზა.

**შენი უსაყვარლესი შვილები: მანანა, ნინო და ეკა ჩიჯავაძეები**

იმუნოლოგიის და ვირუსოლოგიის ლაბორატორიების უფროსი მეცნიერ-მუშაკი, აერო-ზოოლოგიის ვაქცინების ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

1967 წლიდან მერაბ ჩიჯავაძის საქმიანობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ნაწილია. აქ მან გაიარა აკადემიური ზრდის ყველა საფეხური — ასისტენტიდან (1967-1971) პროფესორამდე (1992-2001), ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას (1979-1984).

მერაბ ჩიჯავაძე, პედაგოგიური საქმიანობის გარდა, აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და სასწავლო-საორგანიზაციო მუშაობაში: 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — სამედიცინო უნივერსიტეტი) საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი; განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა უნივერსიტეტის ჯერ სასწავლო-მეთოდური განყოფილების, შემდეგ კი — სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსად. არაერთი წელი მერაბ ჩიჯავაძე თსსუ-ის ქუთაისის ზოგადი პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და სამედიცინო კოლეჯის ფილიალის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო. ბოლო პერიოდში — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მდიდარი აკადემიური და საორგანიზაციო მუშაობის გამოცდილების მქონე. იგი ყველგან და ყოველთვის კეთილსინდისიერების, კომპეტენტურობის და სანდობის განსახიერება გახლდათ.

მერაბ ჩიჯავაძის კვლევითი საქმიანობის შედეგი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის საქმობროტო საკითხებზე. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი შრომები ადენოვირუსების კვლევაში; მან, პირველად საბჭოთა კავშირში, დაადგინა ადენოვირუსების როლი ბავშვთა ასაკის მუზოადენიტების ეტიოლოგიაში.

პროფესორ მერაბ ჩიჯავაძის კვალი-ფიციურობა, საიმედოობა, მოქალაქეობრივი პოზიცია და მისაბაძი ადამიანური თვისებები მუდამ სამაგალითო იქნება მისი მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის, მოყვარული ოჯახისა და ახლობლებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პატივისცემით და გულისტკივილით ემშვიდობება ბატონ მერაბ ჩიჯავაძეს და პატივს მიაგებს მის სსოვნას.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ღვანლმოსილი ადამიანი გამოაკლდა, გარდაიცვალა მერაბ ჩიჯავაძე — მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრის (ამჟამად — მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი) პროფესორი, კათედრის გამგე (1979-1984), პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველი, საქართველოს ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და პარაზიტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. პროფესორი მერაბ ჩიჯავაძე ქართველ მედიკოსთა, მკვლევართა და პედაგოგთა არმიის ღირსეული წარმომადგენელია. იგი სიტყვით და საქმიანობით, რომელიც ერთურთს არასდროს შორდებოდა, ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართულ სამედიცინო აზრს, მათგან თითქმის ნახევარი საუკუნე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

ბატონი მერაბის ღვანლი სათანადოდ დაფასდა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ, რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, სამადლობელ წერილში (20013 წლის ნოემბერი), აღნიშნა: „თქვენი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, ვინც უკვე დატოვა წარუშლელი კვალი ექიმთა, სტომატოლოგთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტთა, ფარმაცევტთა ათეული თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში. თქვენი თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანი იყო და არის სტუდენტებისა და ახალგაზრდა კოლეგებისთვის, რომელიც მათ ეხმარება სწორ ორიენტირებაში ცხოვრებასა და პროფესიის აღსრულების გზაზე“.

თოეული სიტყვა მნიშვნელოვანი იყო და არის სტუდენტებისა და ახალგაზრდა კოლეგებისთვის, რომელიც მათ ეხმარება სწორ ორიენტირებაში ცხოვრებასა და პროფესიის აღსრულების გზაზე“.


მერაბ ჩიჯავაძე თბილისში დაიბადა 1930 წელს. მისი პროფესიული ბიოგრაფია 1954 წელს დაიწყო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — სამედიცინო უნივერსიტეტი) დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა, ქალაქ რუსთავეში შეუდგა საქმიანობას ეპიდემიოლოგად ჯერ პოლიკლინიკაში, შემდეგ — სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში. შემდგომ ბატონი მერაბი სამედიცინო და აკადემიური მოღვაწეობით დაინტერესდა: იყო თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ვშსკ) ბავშვთა ინფექციების ლაბორატორიის გამგე (1955-1959), განსაკუთრებით საშუალო ინფექციების ლაბორატორიის გამგე (1959-1960), რიკეტსიოზული ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკი (1960-1961). 1964 წელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ, სხვადასხვა დროს ბატონი მერაბი იყო ვაქცინებისა და შრატების საკავშირო ინსტიტუტის ტიპური ფაგების განყოფილების უფროსი, ლ. ტარასევიჩის სახელობის სახელმწიფო საკონტროლო ინსტიტუტის წარმომადგენელი ვშსკ-ში, იქვე



მ ა ხ ი ა მ



მ ე ხ ა ვ



ა ნ ა ძ ე

2017 წლის 14 იანვრის საღამო მეგობრებთან ერთად საზეიმო გარემოში მისთვის ბოლო აღმოჩნდა... დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტი, მარიამ კაპანაძე 15 იანვარს გამთენიას მოულოდნელად ანეკრიზმით გარდაიცვალა.

21 წლის მარიამი სტუდენტობამდე ეროვნულ საბალეტო ანსამბლში, „ერისიონში“, ცეკვადა. სურდა, გამხდარიყო ექიმი, რის გამოც 4 წლის წინ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე გადაწყვიტა სწავლა. მარიამი პროგრამის პირველი მიღების სტუდენტი გახლდათ.

ულამაზესი, მხიარული, მუსიკალური და კომუნიკაბელური, — ასე ახასიათებენ მარიამს მისი მეგობრები და თანაკურსელები.

პირველი კურსის ბოლოს იგი ჯგუფელებთან ერთად ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში (აშშ, ატლანტა) იმყოფებოდა. მიუხედავად ემორიში გატარებული მხოლოდ ერთი თვისა, მარიამმა იქაც შეძლო განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა და თავის დამახსოვრება როგორც უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ისე ახლადშექმნილი ამერიკელი მეგობრებისთვის.

ემორის უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები,

ბი, რომლებთანაც მარიამი ურთიერთობდა, უერთდებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღრმა მწუხარებას და სინანულს გამოხატავენ მომხდარის გამო.

მარიამ კაპანაძე მცხეთაში მშობლებთან და ორ მცირეწლოვან დასთან ერთად ცხოვრობდა.

ულამაზესი მარიამი 16 თებერვალს 22 წლის გახდებოდა. იგი დიდი დანაკლისია როგორც ოჯახისა და ახლობლებისთვის, ისე თითოეული ადამიანისთვის ვისთანაც, თუნდაც, ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონდა.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა**

# უზენაესი ქალი

საქართველო გამოეთხოვა ადამიანს, კეთილშობილების მაგალითს, საქართველოში მცირე ინვაზიური ქირურგიის (ლაპაროსკოპიული მედიცინის) დარგის ლიდერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის #1 ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორ მერაბ კილაძეს, რომელმაც მთელ ქვეყანას შეაყვარა თავი, ყველას გულსა და სულში დაიმკვიდრა წარუშლელი ადგილი, კვალი ნათელი დატოვა... მისი საქმენი კი მომავალში ილღადავდებენ.

...ორივე წლის წინ ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომრის სტუმარი გახლდათ. რედაქციაში გვეწვინათ... ვისმენდით უარესად პერსპექტიული ქირურგის, დახვეწილი ინტელექტუალისა და გულითადი ადამიანის საუბარს დარგსა და მეცნიერებაზე, მომქანცველ რუტინულ ყოველდღიურობაზე. მისი თითოეული წუთი დატვირთული გახლდათ პაციენტებზე ზრუნვით და ფიქრით... სწორედ მოყვასის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ზრუნვას შეაღია ბატონმა მერაბმა საკუთარი სიცოცხლე, იგი ხომ ვერასდროს ვერავის უღალატებდა...  
...სადა, არაამბიციური ნატურა გამოჩნეულა იგივე წინააღმდეგობა მის პიროვნულ ღირსებებს... არაერთი შეთავაზების მიუხე-

დავად, „მაცდურ უცხოეთში“ უზრუნველ ცხოვრებას სამშობლოში საკუთარ ხალხზე ზრუნვა ირჩია. ბევრისთვის იგი „უვერცხლო მკურნალად“ ქცეულა... დიდსულოვნების და უანგარობის მაგალითი დაუტოვებია.

მისმა უეცარმა გარდაცვალებამ მთელი საქართველო შეძრა და დაამწუხრა...

ბატონი მერაბის მიერ გადარჩენილ მრავალ ადამიანს მუდამ ემახსოვრება ყველასთვის განუზრუნველად თავადებული ექიმი, გულწრფელი და ღიმილიანი კაცი, უშუალოდ და მოყვასისადმი დამოკიდებულებით გამოჯანმრთელების რწმენას რომ უწერ-გავდა ყველას...

მისი სახით საქართველომ დაკარგა თანამედროვე სამედიცინო ქირურგიული სკოლის ვარსკვლავი, მაღალი ინტელექტის მკურნალი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი — სამაგალითო პროფესორი, საამაყო კურსდამთავრებული, რომლის უდიდესი წვლილია იმაში, რომ დღეს ქართული ქირურგიული სკოლა თამამად მოიაზრება მსოფლიოს წამყვან ანალოგურ სამედიცინო სკოლებს შორის...



თანამედროვე ქართულმა ქირურგიულმა სკოლამ უდიდესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ქირურგიული ელიტის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, პროფესორი მერაბ კილაძე. უდიდესი პიროვნების, ბრწყინვალე ქირურგის, სამაგალითო მეგობრის და მეოჯახის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ უზომო ტკივილი მიყენა არა მხოლოდ სამედიცინო საზოგადოებას, არამედ — სრულიად საქართველოს. უნიკალური ადამიანი, მეგობარი, ძმაცატი, სულით ხორცამდე ექიმი დაგვაკლდა ყველას — ოჯახს, სანათესავოს, მეგობრებს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ... მერაბი შეუერთდა იმ გენიალურ მსოფლიო ქირურგთა რიგებს, რომელთაც თვითნაირი სიცოცხლის ფასად პირნათლად შეასრულეს პროფესიული მოვალეობა.

მისი პროფესიული გზა მუდმივი და დაუოკებელი სწრაფვა იყო განვითარებისაკენ, ახლის ძიებისა და დანერგვისკენ, რასაც საქმისა და კოლეგებისადმი უდიდესი სიყვარუ-

ლით, გულისხმიერებით აკეთებდა, იმსახურებდა და იხვეჭდა კიდევ უზადო პატივისცემას და ავტორიტეტს, როგორც სამედიცინო სამყაროსა და სამეგობროში, ასევე, პაციენტებში. უზადო გახლდათ ბატონი მერაბის ქირურგიული ოპერირების ტექნიკა, მისი ოპერაციების ნახვისას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ურთულესი ქირურგიული შემთხვევებიც კი თითქოს თავისით, ლამაზად ლაგდებოდა. მან აღზარდა ახალგაზრდა ქირურგთა პლეადა, რომელთაც აძლევდა შეუდარებელ შანსს, ესწავლათ თუ როგორ უნდა აკეთო სწორად ესა თუ ის ოპერაცია.

ბატონი მერაბი შეუერთდა იმ გენიალურ ქართველ ქირურგთა რიგებს, რომელთა მოღვაწეობა უკავშირდება გარკვეული მიმართულებების და დარგების ჩამოყალიბებას და განვითარებას, კერძოდ, თამამად უნდა ითქვას, რომ მას უდიდესი წვლილი მიუძღვის

საქართველოში ლაპაროსკოპიული ქირურგიის განვითარებაში, პირველად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ამ მიმართულებით; ეკუთვნის 100-ზე მეტი ნაშრომი, სახელმძღვანელო, საავტორო პატენტები თუ მეთოდური რეკომენდაცია; შესრულებული ჰქონდა ათეულ ათასობით სხვადასხვა სირთულის და მასშტაბის ლაპაროსკოპიული ოპერაცია.

პროფესორ მერაბ კილაძის ინციატორით საქართველოში შექმნილ მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციას გამგეობამ პროფესორ კილაძის სახელი მიანიჭა.

ჩვენს გვერდით აღარ არის ბატონი მერაბი, უდიდესი პიროვნება, ბუმბერაზი ქირურგი, მაგრამ ვამაყობთ იმით, რომ მასთან ერთად ვიმოდგვანოდით და ერთმანეთთან დიდი პატივისცემა და სიყვარული გვაკავშირებდა.

**პროფესორი  
დაპით აბულაძე**

მერაბ კილაძესთან თანამშრომლობა 2002 წლიდან დედაქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს თორაკოაბდომინურ კლინიკაში დაიწყო და მალე მის ფართო სამეგობრო წრეში მეც მოკრძალებული ადგილი დაევიჭირე. მერაბი იყო რაინდული ბუნების ადამიანი, კეთილშობილებით აღსავსე, ამავე დროს, თავმდაბალი, სხვისი შემწე, უშურველად (უანგაროდ) გამცემი და არმომკითხავი. მისი მასწავლებლის და უფროსი მეგობრის, ზურაბ ცხაკაიას, მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, მალე ნათლად წარმოჩინდა მისი, როგორც გამორჩეული ლიდერის, თვისებები — სათავეში ჩაუდგა ქირურგიულ კოლექტივს და მოკლე დროში შეძლო ერთი ჩვეულებრივი კლინიკის ქვეყანაში წარმატებულ კლინიკად ქცევა, სადაც ურთულესი ქირურგიული ოპერაციები ტარდებოდა, როგორც ლაპაროსკოპიული, ასევე, ტრადიციული ღია მეთოდით. განსაკუთრებით წარმოჩინდა მერაბ კილაძის და მისი კოლექტივის მიღწევები კლინიკა „კარპს მედიკალინი“ დამკვიდრების შემდეგ — დაიბეჭდა და გამოიცა მრავალი მეცნიერული ნაშრომი და

მონოგრაფია-სახელმძღვანელო ლაპაროსკოპიული ქირურგიის განხრით, მომზადდა სადოქტორო დისერტაციები, გადრეკილი და განვითარდა მეცნიერული და პრაქტიკული კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ქირურგიულ საზოგადოებასთან.

უცილობლად აღსანიშნავია ბატონი მერაბის ბუნებრივი, თანდაყოლილი კეთილშობილება, მამობრივი და ძმური მზრუნველობის განცემა კლინიკის თანამშრომლებისადმი — გულწრფელად უხაროდ მათი წარმატებები, განუზრუნვლად ყველას ხელს უწყობდა პროფესიულ ნინსვლასა და სიახლეების დანერგვაში. მათ შორის, მეც, გამორჩეულად გვრძნობდი მის გვერდში დგომას, უხაროდა ჩემი წარმატებები და მუდამ მაქებდა სამეგობრო წრეში და სახალხოდაც. იყო ჩემი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი. არ იცოდა, რა იყო შური, გამორჩეულად უყვარდა ადამიანები და განსაკუთრებით — მეგობრები, რომელთაც უანგაროდ ეხმარებოდა მთელი ცხოვრება.

ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, როცა ერთად უცხო-

ეთში მივდიოდით; მახსენდება, 2011 წელს ბატონი მერაბი და მე მიწვეული ვიყავით ქ.ბაქოში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კონფერენციაზე, აზერბაიჯანის მთავარი ქირურგის, რაფ ნაგიევის მიერ. ჩვენ, ორი ქართველი, ვიყავით წარმოდგენილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამსაზმდე ქირურგთა ერთად. ისეთი გამორჩეული პატივი, რაც ჩვენ ვიგრძენით ორგანიზატორებისაგან და, პირადად, ბატონი რაფი-საგან, არც მახსენდება. წარმატებული ქირურგობის გარდა, მერაბი იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

...ღირსეულად გაატარა ნუთისოვლი, სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურა თავის ხალხს და ნამდვილად გამორჩეული და კოლორიტული კვალი დატოვა თბილისის სინამდვილეში. მიხარია, რომ მეც მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მერაბის მეგობარი, რომლის გახსენებაც მუდამ სიამაყით მავსებდა.

**დაპით აბულაძე, აკადემიური დოქტორი, მცირე ინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტის ქირურგი**

(არა მხოლოდ საქართველოს, არამედ — საერთაშორისო მასშტაბით), შესანიშნავი მეცნიერის, საიმედო კოლეგის, მასწავლებელთა ღვანლის დამფასებელი მეგობრის, და ბოლოს, უბრალოდ, — კეთილშობილი პიროვნებისა და სანიშნულო მოქალაქის.

ამავე პერიოდში მან უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველოში ლაპაროსკოპიული ქირურგიის განვითარებაში და თანდათან დაიშვილდა თავი, როგორც ამ მიმართულების აღიარებულმა ლიდერმა. ამასთანავე, ერთი დღითაც არ მიუტოვებია „ლია ქირურგია“. ურთულესი ოპერაციებს აკეთებდა ვირტუოზული სიმსუბუქით, შესაშური სისწრაფითა და გასაცემელი შედეგებით.

საოცარი ცხოვრებით იცხოვრებდა მერაბი:

ბევრს დაუიმედე თავდაუზოგავი შრომა, რადგანაც საკუთარ მაგალითზე აჩვენე, თუ რას შეიძლება მიაღწიოს უპროტექტორო კაცმა თავისი შრომითა და მონდომებით;

ბევრს აგრძნობინე სიცოცხლის ჭეშმარიტი ხიზბი, როდესაც შენი მაღლიანი გულით და ხელით წინ გადაუდებე მათ ჯანმრთელობასთან შეჭიდებულ მათსავე ბედისწერას; ბევრს გაულამაზე სიცოცხლე შენი სიყვარულით, მეგობრობით, თანადგომით, უშურველობით, ბავშვური ღიმილით, სიკეთით, გულითალობით;

და ბარემ ესეც ითქვას: ბევრს გაუადვილე (მათ შორის, ალბათ, მეც) სიკვდილი — შენი ნაადრევი და მოულოდნელი წასვლით.

მარადიული ნათელი გელის, მერაბ!

**პროფესორი ღიმიტრი კორძია, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი**

...შემიძლია 24 საათი ვიყო საოპერაციო ოთახში. ეს საქმე მიყვარს და არ მღლის. თუმცა, ყველაფერი ახლა ასე მარტივად რომ ჩანს, წლების განმავლობაში შრომასა და ავადმყოფის საწოლთან გატარებული დღეებისა, რასაც თან სდევს მუდმივი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი. ამ გადასახედიდან, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა ისევე იმ გზას შევდგომოდი, რომლითაც დღევანდლამდე მოვედი. ძალიან რომ არ მყვარებოდა ჩემი საქმე და პაციენტები, გამიჭირდებოდა ამ პროფესიაში წარმატების მიღება...  
ამონარიდი მერაბ კილაძის დღიურებიდან

...ქირურგს საქმე აქვს შეუფასებელ ღირებულებასთან — ადამიანის სიცოცხლესთან. უზენაესი გონი ამუშავებს ქირურგის გონებასაც და ხელსაც, გული კი ღვთისნიერი უნდა გქონდეს. არ ვეთანხმები, როდესაც ამბობენ, ქირურგს ქვასავით გული უნდა ჰქონდესო, მე პირიქით ვფიქრობ — ქირურგი უნდა იყოს გულჩვილი, გულისხმიერი, გულთან ახლოს მიმტანი, რომელიც წრფელი გულით იზიარებს პაციენტის მდგომარეობას.  
გამოგიტყდებით, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას, პირველ გვამთან როცა გვექონდა გუბა, ჯგუფიდან მხოლოდ მე გავხდი ქუდად და ნიშადურიც მომამშველეს, მერე კი შევეჩვიე... გულქვა ადამიანი კარგი ქირურგი ვერ გამოვა, გონებისა და ხელის გარდა, მას მგრძნობიარე გულიც უნდა ჰქონდეს...  
ამონარიდი მერაბ კილაძის დღიურებიდან

...დღეაჩემი პაციენტის სახელზე ყოველდღიურად აღავლენდა ლოცვებს და ღმერთს ევედრებოდა, რომ გადარჩენილიყო. ხშირად, ექიმთან ერთად, მისი ოჯახიც განიცდიდა უცნობი პაციენტის ბედს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ექიმის მიმართ დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება ისმის, რაც ჩვენს ქვეყანაში იშვიათი არ არის. უმეტესად მაინც მაღლიერი პაციენტები ჭარბობენ, რაც უდიდეს სტიმულს აძლევს ექიმს, რომ არ დანებდეს და მეტი შემართებით გააგრძელოს საქმიანობა. როცა პაციენტი განდობს სიცოცხლეს, იგი ყოველს შემძლე მიგიჩნევს. ეს კი უკვე ძლიერი ფსიქოლოგიური დატვირთვა და პასუხისმგებლობაა. თუ არ ხარ ფსიქოლოგიურად განონასწორებული და სუბიერად ძლიერი, ძნელია გაუძლო იმ დატვირთვებს, რომლებიც თან ახლავს ჩვენს პროფესიას. საჭიროა, შეგეძლოს უდიდესი პასუხისმგებლობის აღება და გქონდეს სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. მთავარია, შენს თავთან და ღმერთთან იყო მართალი...  
ამონარიდი მერაბ კილაძის დღიურებიდან

...ხშირად ჯიბეში უნდა ჩაუდგე სიკვდილს და დაუღალავად და ჯიუტად ებრძოლო მას. ბოლო წლებში ჩემი საყვარელი დევიზი და სლოგანია ცნობილი ლათინური გამოთქმა — „memento mori“. მისი ღრმა ფილოსოფიური არსი რეალურად მეხმარება, უფრო მსუბუქად შევფასო ცხოვრება, რომელიც ისედაც ხანმოკლეა. ვცდილობ, არ გავირთულო და სხვასაც არ გავურთულო ისედაც ძნელი ცხოვრება, ვიცხოვრო თვალთმაქციობისა და ფარისევლობის გარეშე, თუნდაც, პატარა სიყვარულით და ერთგულებით ჩემს ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად. ხშირად სიკვდილის გახსენებით უდიდეს პატივს ვცემ სიცოცხლეს და ვურჩევ ყველას, ასევე, ხშირად იმეოროს — „memento mori“ და ცხოვრება უფრო პოზიტიური და პროდუქტიული იქნება...  
ამონარიდი მერაბ კილაძის დღიურებიდან

# ხელოვნება მედიცინის სამსახურში



ანატომიური ატლასი, 1746-48 წწ. ყდა და სატიტულო გვერდი, ილუსტრაციები.



პირველი ფერადი ანატომიური ატლასი, რომელიც უკვე სრულყოფილ ილუსტრაციებს მოიცავდა ფერდაშლის თვალსაზრისით, 1746-1748 წლებში შეიქმნა. მასში გამოყენებულია გრაფიკები, რომლის ავტორია ცნობილი ფრანგი მხატვარი და გრაფიკი ჟაკ ფაბიენ გოტიე დ'აგოტი (1716-1785). დ'აგოტი მარსელში დაიბადა. მან ანატომ გუიპარდ ჟოზეფ დუვერნიესთან (1648-1730) ერთად შექმნა ანატომიური ატლასი, რომელიც საინტერესოა როგორც მედიცინის ისტორიის, ისე საგამომცემლო საქმის ისტორიის თვალსაზრისითაც. დ'აგოტიმ სრულყო თავისი მასწავლებლის კრისტოფ ლე ბლონის (1667-1741) სამფეროვანი გრაფიკების ტექნიკა. დაამატა მეოთხე ფერი — შავი.

მისი ნამუშევარია 1746 წელს გამოცემული „მიოლოგიის ტრაქტატი“, რომელიც 20 ანატომიურ ნახატს მოიცავს ადამიანის კუნთოვანი სისტემის შესახებ. ამ ტრაქტატში შედის ჟაკ ფაბიენ გოტიე დ'აგოტის ცნობილი ნამუშევარი, რომელსაც „ანატომიური ანგელოზს“ უწოდებენ.

„ანატომიური ანგელოზი“ თავისი მოწყენილი სახითა და ფრთხილად გადაშლილი კუნთოვანი ქსოვილით მსოფლიოშია ცნობილი.



## მკურნალი გადასახლებაში



დავით კვიციანიშვილი და გოგი ჭიაბრიშვილი

ცია-პროპაგანდისტისთვის, რომელიც შეიცავდა საბჭოთა წყობილების დამხობის მონოდეგას აჯანყების მონაწილის მცდელობისთვის. ეს, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი იყო. თუმცა გოგი ჭიაბრიშვილს მიესაჯა 8 წელი.

ვორკუტაში გაიცინო მან ღირსეული ქართველი ექიმი, ყველა ქართველის და არა მხოლოდ ქართველის უანგაროდ თანამდგომი, სულიერი სიმდიდრითა და ღირსებით დაჯილდოებული პედიატრი, დავით კვიციანიშვილი. ის თავდაუზოგავად ზრუნავდა ტუსალებზე. ბევრი გადაარჩენას სწორედ ბატონ დავითს უმაძღვრებდა.

1954 წლის პირველ ნახევარში, მას შემდეგ რაც გოგი ჭიაბრიშვილი ბანაკიდან გაათავისუფლეს და ე.წ. „თავისუფალ გადასახლებაში“ დატოვეს, მას ვორკუტის საქალაქო საავადმყოფოში კუჭის ოპერაცია გაუკეთა მასსავით ტუსადმა და მრავალი წლის განმავლობაში მისდამი კეთილად განწყობილმა უკრაინელმა ქირურგმა იგორ ოფჩარენკომ. ექიმები გადასახლებაშიც მონოდების სიმძლავრე რჩებოდნენ და მწირი საშუალებებით ურთულეს ოპერაციებს ართმევდნენ თავს.

ოპერაციისას პაციენტს თავს ადგა მეგობარი, დავით კვიციანიშვილი. სწორედ ის ზრუნავდა მეგობარზე აღდგენითი პერიოდის განმავლობაშიც...

გადასახლებული ექიმები მარტო თავის პროფესიულ მოვალეობას კი არ ასრულებდნენ, არამედ მეგობრობასა და ყოფით ცხოვრებაშიც უერთგულეს დასაყრდენად რჩებოდნენ.

ვორკუტის საქართველოში დაბრუნებული გოგი ჭიაბრიშვილი ცდილობდა, ოჯახი ფეხზე დაეყენებინა: ააშენა საცხოვრებელი სახლი ველისციხეში, მშენებლობისას მხარში ედგნენ მეგობრები, მათ შორის დავით კვიციანიშვილიც...

ლელა ჯიყაშვილი

## აბოლსის პრესკრიპციის გახსნას დასვინი ურნალი გამოეხიარა



ლატვიურმა ჟურნალმა „ატერია დედა“—მ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაციის ინსტიტუტს დიდი ყურადღება და სთომო მას შემდეგ, რაც ფარმაციის უნივერსიტეტის ლატვიური ნარმოშობის

მეცნიერს, ედუარდ აბოლსს საპატიო ვარსკვლავი გაუხსნეს. ლონისტიკებს ესწრებოდნენ: ლატვიის საგანგებო და სრულყოფილიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ელიტა გაველე, ლატვიის საელჩოს სხვა წარმომადგენლები, ედუარდ აბოლსის შთამომავლები, ქალბატონი ნონა გაბელია, რომელიც წლების მანძილზე სწავლობდა ლატვიელი მეცნიერის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას, თსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ნანა გორგასლიძე, ფინანსური დირექტორი ზურაბ ანთელიძე, ცნობილი და სახელოვანი მეცნიერები და ინსტიტუტის თანამშრომლები.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პატივს მიაგებთ იმ კვალს, რომელიც ლატვიელმა მეცნიერმა, ედუარდ აბოლსმა დატოვა მეცნიერებაში. ძალიან ემოციურია, რომ ამ ლონისტიკებს თავად ედუარდ აბოლსის შთამომავლები ესწრებიან.

თქვენ პატივს სცემთ ამ ისტორიას, რაც კიდევ უფრო გვაახლოებს და გვაერთიანებს“, — აღნიშნა მამის ლატვიის საგანგებო და სრულყოფილიანი ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა ელიტა გაველემ. მან, ქალბატონი ეთერ ქემერტელიძესა და ქალბატონ ნანა გორგასლიძესთან ერთად გაჭრა საპატიო ლენტი. შემდეგ კი თაიგულით შეამკო ედუარდ აბოლსის ახლად გახსნილი ვარსკვლავი.

ლატვიელმა ჟურნალისტმა ვრცელ მასალა მოამზადა როგორც ედუარდ აბოლსზე, ისე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაციის ინსტიტუტზე.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი ლელა ჯიყაშვილი კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaperstsmu@gmail.com

